

ქართულ სუნელებში ტყვიის შემცველობის მიზეზი ფარსიფიცირებაა



სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი აცხადებს, რომ 2017 წელს სუნელებში 2017 წელს, ტყვიის მაღალი შემცველობის მიზეზი ფარსიფიცირება იყო და ამ კუთხით უკვე ზომები მიღებულია.

ამის შესახებ ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის წარმომადგენლებმა რეიდა ტაბატაძემ და მამუკა კოტეტიშვილმა ღღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

კვლევითი ცენტრის ინფორმაციით, სურსათში ტყვიის შემცველობაზე კვლევა 2017 წლის ნიმუშებზე დაყრდნობით ჩატარდა. რეიდა ტაბატაძის თქმით, ტყვიის ყველაზე დიდი შემცველობა სუნელებში დაფიქსირდა, ამის მიზეზი კი არა ნიადაგი, არამედ ფარსიფიცირება იყო.

“განსაკუთრებით ეს უკავშირდებოდა ყვითელი ყვავილის შემცველ სუნელებს. ჩვენი ანალიზით, სუნელებში ტყვიის ასეთი კატასტროფური შემცველობა გარემოდან არ უნდა იყოს განპირობებული, თუ გავითვალისწინებთ გარემოს დაცვის სამინისტროს მონაცემებს ნიადაგსა და ჰაერში ტყვიის შემცველობასთან დაკავშირებით, სადაც საშუალო მონაცემები ნორმას არ აჭარბებს. სამეცნიერო კვლევების შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ ნიადაგიდან მცენარეებში ტყვიის შეთვისების კოეფიციენტიც ძალიან დაბალია.“

ჩვენი აზრით, ეს ნამდვირად დაკავშირებულია ფარსიფიცირებასთან. ეს დაადასტურა კიდევ სამხარაურის ექსპერტიზის ბიურომაც, რომ

სუნერებში აღმონდა საღებავები და თანაც არასაკვები საღებავები. უკვე მიღებულია გარკვეული დროებითი ზომები სუნერების ფარსიფიცირებასთან დაკავშირებით და მონიტორინგის შედეგებიც საიმედოა. ასეთი დარღვევები დიდი რაოდენობით აღარ არის“, – განაცხადა გეიდა ტაბატაძემ.

ინტერპრესნიუსი